ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის

შალვა ოგბაიძის

ანგარიში

ზოგადი ინფორმაცია:

- მეშვიდე მოწვევის საკრებულოს წევრი;
- საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
- ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს წევრი;
- სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი.

ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის შესახებ:

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 16 და ბიუროს 20 სხდომა. ჯამში, მიღებული იქნა 115 დადგენილება და 663 განკარგულება.

ინფორმაცია საკრებულოს კომისიების/ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ:

1. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო":**

ჩატარდა ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს 18 სხდომა, სადაც განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 26 საკითხი.

2. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია:**

ჩატარდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 11 სხდომა, სადაც განხილული იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 168 საკითხი.

3. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისია:**

საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა სატრანსპორტო საკითხთა კომისიის 16 სხდომა, განხილული იქნა 45 საკითხი და მომზადდა შესაბამისი დასკვნები. კომისიის სხდომებზე განხილული იქნა არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი:

2022 წლის 4 ნოემბრის სხდომა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032228413-03; 11.10.2022):

  ცვლილებების შედეგად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას, სამართალდამრღვევს ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი თუ სამართალდამრღვევი ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ადგილზე არ იმყოფება, გამოიწერება საჯარიმო ქვითარი ან ელექტრონული ფორმით ივსება საჯარიმო ქვითარი, რომელიც ეგზავნება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს.

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032228413-03; 11.10.2022);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032228413-03; 11.10.2022):

  ცვლილებების საფუძველზე, თბილისის სატრანსპორტო კომპანიას ეკისრება ვალდებულება დაიცვას რიგი სანებართვო პირობები ავტობუსებში. მაგ: უზრუნველყოს ხაზზე გაშვებისას თითოეული ავტობუსის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა, მგზავრების მიერ მგზავრობის ტარიფის/ფასის გადახდის კონტროლი, ნებართვის გამცემთან შეთანხმებული უნიფორმით მომსახურების განმახორციელებელი ყველა მძღოლის შემოსვა, არ დაუშვას უშუალოდ მარშრუტზე მოძრაობისას მძღოლის მიერ თამბაქოს მოხმარება და ა.შ.

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032228413-03; 11.10.2022);

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით და 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის

№16-53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032228413-03; 11.10.2022);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032228413-03; 11.10.2022):

ცვლილების შედეგად, უფასო მგზავრობის უფლება მიენიჭათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლებს.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_3 კატეგორიის და M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032228413-03; 11.10.2022);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №1-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032229420-03; 21.10.2022).

2022 წლის 17 ნოემბრის სხდომა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032231961-03; 15.11.2022):

  ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 1 438 775,2 ათასი ლარით, ხოლო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენის პრიორიტეტი განისაზღვრა 415 096,4 ათასი ლარით.

2022 წლის 24 ნოემბრის სხდომა:

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032232627-03; 22.11.2022).

2022 წლის 23 დეკემბრის სხდომა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032234849-03; 14.12.2022):

პროექტის თანახმად, ბიუჯეტს დაემატა ახალი პროგრამა - მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) (კოდი 10 23) 1410,0 ათასი ლარის ოდენობით. პროგრამა ემსახურება თბილისში მდგრადი მობილობის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: 1) გონიერი სატრანსპორტო სისტემა, ე.ი. მართვის ცენტრი მონაცემთა პლატფორმით, სენსორებითა და სიგნალიზაციის ტექნოლოგიით, რაც გამოიყენება სამანქანო ნაკადებისა და პარკირების ადგილების რეალურ დროში მონიტორინგისა და მართვისათვის; 2) ე.წ. „მწვანე დერეფნები", რაც გულისხმობს შერჩეული სატრანსპორტო დერეფნებისათვის ქუჩის ახალი დიზაინის შემუშავებას, მათ შორის სწრაფი საავტობუსე სავალი გზების მოწყობას, ველო და საფეხმავლო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

2022 წლის 27 დეკემბრის სხდომა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032234375-03; 09.12.2023):

  წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 632 132,6 ათასი ლარით.

  ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პრიორიტეტებზე:

- *სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 522,096.4 ათასი ლარი;*
- *ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 243,813.7 ათასი ლარი;*
- *ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 211,901.7 ათასი ლარი;*
- *ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 2,029.5 ათასი ლარი;*
- *ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38,696.3 ათასი ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 144,160.7 ათასი ლარი;*
- *განათლება - 225,917.8 ათასი ლარი;*
- *კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 52,531.4 ათასი ლარი;*

- *საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 11,436.8 ათასი ლარი.*
- *ქალაქ თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 179 548,3 ათასი ლარი.*

2023 წლის 27 იანვრის სხდომა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის“ პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-0323020130-03; 20.01.2023):

  განკარგულების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიეცა თანხმობა საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 50,600,000 (ორმოცდაათი მილიონ ექვსასი ათასი) ევროს ოდენობის სესხის და 5,000,000 (ხუთი მილიონი) ევროს ოდენობის გრანტის შეთანხმებაზე ხელის მოწერასთან დაკავშირებით.

  EBRD-ის მიერ გამოყოფილი სესხი მოხმარდება თბილისის მეტროს განვითარებას. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება 12 მეტროსადგურს, რაშიც იგულისხმება ესკალატორების და ელექტრომექანიკური დანადგარების პანელების შეცვლა, მგზავრთა ინფორმაციის შეტყობინების სისტემის განახლება, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის შეცვლა. რამდენიმე მეტროსადგურის შესასვლელში დამონტაჟდება დახრილი ლიფტები. დახრილი ლიფტებით სარგებლობას შეძლებენ შშმ პირები, მოხუცები და სხვა სპეციალური საჭიროების მქონე პირები.

  მეტროსადგურების რეაბილიტაციის ფარგლებში, ასევე დაგეგმილია შემდეგი: შეიცვლება „სადგურის მოედნის“ მესამე ამოსასვლელის სამი ესკალატორი. განხორციელდება 36 ესკალატორის ელექტროძრავის მოდერნიზაცია, რაც დაზოგავს ელექტროენერგიას. შეიცვლება ესკალატორების და ელექტრომექანიკური დანადგარების

საკონტროლო პანელები. განახლდება მგზავრთა ინფორმირების სისტემა. გაუმჯობესდება სადგურების შესასვლელების ფიზიკური ხელმისაწვდომობა. მათ შორის, რამდენიმე მეტროსადგურზე დამონტაჟდება სპეციალური, დახრილი ლიფტები. „სადგურის მოედნის“ კვანძზე დამონტაჟდება ორი ლიფტი, პირველ და მეორე ხაზებს შორის წვდომის გასაუმჯობესებლად.

რეაბილიტირდება ცენტრალური სადრენაჟე სატუმბი სადგურები, შეიცვლება ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები, სპეციალური და ადმინისტრაციული სატელეფონო სისტემები, უწყვეტი კვების წყარო (UPS) სადგურებზე მდებარე ცენტრალიზებული და ბლოკირების სიგნალიზაციისთვის, ასევე, ავტომატური მართვის პუნქტებისთვის. რეაბილიტირდება სადგურების გარეთ არსებული სავენტილაციო სისტემა, ჯამში, 18 ვენტილატორი და მართვის სისტემა. მოხდება მეტროს გაერთიანებული სახელოსნოების სრული გადაიარაღება და გარემონტდება შენობა-ნაგებობები. გადაიარაღდება მეტროს სასწავლო ცენტრი. განახლდება ტექნიკური ხელსაწყოები და დანადგარები.

2023 წლის 21 თებერვლის სხდომა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03230451-03; 14.02.2023):

პროექტის თანახმად, გაიზარდა ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები. მათ შორის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 6 000,0 ათასი ლარით; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) - 12 000,0 ათასი ლარით; სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო“ (კოდი 10 18) - 142,8 ათასი ლარით.

ასევე, ბიუჯეტში დაემატა ახალი პროგრამა - თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტი (კოდი 10 25). პროგრამის ასიგნებები განისაზღვრა 3 250,0

ათასი ლარით და ემსახურება მეტროს სადგურების რეაბილიტაციის მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას.

2023 წლის 17 მარტის სხდომა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის № 19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323074115-03; 15.03.2023);

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის ,,თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება ,,ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის" პროექტის შესახებ 2022 წლის 2 თებერვლის N2021.003798 საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032306965-03; 10.03.2023):

  2022 წლის 21 მარტს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და კომპანია Mott Macdonald CZ-ს შორის გაფორმდა საკონსულტაციო კონტრაქტი 499,937.00 ევროს ოდენობით. თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯებს აანაზღაურებს EBRD, შესაბამისი გრანტის სახით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულებების შესასრულებლად, განკარგულების მეშვეობით ხელშეკრულებაში უნდა შევიდეს ცვლილება და გრანტის მოცულობა 240,000.00 ევროდან გაიზარდოს 500,000.00 ევრომდე.

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი

საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323074119-03; 15.03.2023):

რეფორმის შედეგად, ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან 2023 წლის 20 მარტამდე პერიოდში ნებისმიერ დროს ახორციელებდნენ საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანას „A“ კატეგორიის ნებართვით, პრინციპით ,,ერთ პირს - ერთი ნებართვა”, უსასყიდლოდ გადაეცათ „A“ კატეგორიის უვადო ნებართვები.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323074119-03; 15.03.2023):

პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაემატა ორი ახალი სტრუქტურული ერთეული - საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების კონტროლის სამსახური და სანებართვო-ანალიტიკური სამსახური.

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის

№33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323074119-03; 15.03.2023);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323074119-03; 15.03.2023).

2023 წლის 17 აპრილის სხდომა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (12-032305945-03; 28.02.2023):

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის პრიორიტეტი დაფინანსდა 438,304.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (447,583.8 ათასი ლარი) 97.9%-ს შეადგენს.

2023 წლის 19 მაისის სხდომა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032313081-03; 10.05.2023):

დადგენილების პროექტის დამტკიცების შედეგად, ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად გაიზარდა 26 614,6 ათასი ლარით. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების

ღონისძიებები (კოდი 01 02 01) გაიზარდა 400,0 ათასი ლარით. საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) - 4 000,0 ათასი ლარით.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032313561-03; 15.05.2023):

პროექტის თანახმად, დადგენილებაში აისახა M3 კატეგორიის ავტობუსის №292 მარშრუტი, რომელიც აღნიშნულ დრომდე ფუნქციონირებდა როგორც დროებითი მარშრუტი.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032313560-03; 15.05.2023):

პროექტის თანახმად, დადგენილებაში აისახა M2 კატეგორიის ავტობუსის №445 მარშრუტი, რომელიც აღნიშნულ დრომდე ფუნქციონირებდა როგორც დროებითი მარშრუტი.

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით

გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032313664-03; 16.05.2023):

დადგენილების საფუძველზე, 22 მაისიდან დაიწყო სპეციალური სტიკერების დარიგება A კატეგორიის იმ ტაქსებისთვის, რომელთა ასაკი 10 წელს არ აღემატება. აღნიშნული სტიკერები არის მაიდენტიფიცირებელი იმისა, რომ მათ საავტობუსო ზოლში შეეძლებათ გადაადგილება.

ამასთან, ტაქსში მგზავრობის საფასურის გადახდა, მიმდინარე წლის 22 მაისიდან, სპეციალური QR კოდის მეშვეობით არის შესაძლებელი. QR კოდით გადახდა ნებაყოფლობითია და მისი დაკავშირება ნებისმიერ ანგარიშზეა შესაძლებელი. QR კოდები განთავსებულია ავტომობილების სკამების საზურგეებსა თუ სხვა ადგილებზე. მომხმარებელი მობილური ტელეფონით დაასკანერებს QR კოდს და მარტივად გადაიხდის მგზავრობის საფასურს, ხოლო ტაქსის მძღოლი მომენტალურად მიიღებს თანხას მის საბანკო ანგარიშზე.

2023 წლის 20 ივნისის სხდომა:

- ინფორმაციის მოსმენა წერეთლის გამზირის და უნივერსიტეტის ქუჩის დიზაინისა და მოძრაობის ორგანიზების განახლებული სქემის შესახებ:

უნივერსიტეტის ქუჩის რეაბილიტაციის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, მთლიანად შეიცვლება და განახლდება მიწისქვეშა კომუნიკაციები. მათ შორის, წყალმომარაგების, წყალარინების, სანიაღვრე, გაზმომარაგების და სხვადასხვა საჰაერო ქსელი, რომლებიც მიწისქვეშა კაბელ-არხებში განთავსდება. 1 600 მეტრის სიგრძის გზის სავალ ნაწილზე დაიგება ასფალტის საფარი, მოეწყობა ტროტუარი და გარე განათების ქსელი.

დამონტაჟდება ახალი LED ლამპიონები, ხოლო ელექტროგადამცემი ხაზები მიწისქვეშ განთავსდება. ტერიტორიაზე ასევე, ჩატარდება გამწვანების სამუშაოები და ქუჩაზე არსებული ინფრასტრუქტურა ადაპტირდება შშმ პირებისთვის.

წერეთლის გამზირის რეაბილიტაციის ფარგლებში, შეიცვლება და განახლდება მიწისქვეშა კომუნიკაციები, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაშია. ასევე, შეიცვლება და განახლდება წყალმომარაგების, წყალარინებისა და გაზმომარაგების ქსელები; მოეწყობა სანიაღვრე ქსელი. გამზირზე დამონტაჟდება განათების ახალი სისტემა და ელექტროგადამცემი ხაზები მიწის ქვეშ განთავსდება; დაიგება ასფალტის საფარი და მოეწყობა ტროტუარი; ქვეითთა გადაადგილებისთვის მოეწყობა უსაფრთხოების კუნძულები, დაიხაზება ზებრა გადასასვლელები, საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის კი გამოიყოფა შესაბამისი სამოძრაო ზოლი. გარდა ამისა, ჩატარდება გამწვანების სამუშაოები, გამზირზე არსებული ინფრასტრუქტურა კი ადაპტირდება შშმ პირებისთვის. ე.წ. „დიდუბის ხიდის“ რეაბილიტაცია წერეთლის გამზირის სრული რეაბილიტაციის პარალელურად ხორციელდება.

2023 წლის 30 ივნისის სხდომა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323179137-03; 28.06.2023):

  პროექტის თანახმად, 2 500,0 ათასი ლარით გაიზარდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების ქვეპროგრამა (კოდი 01 02 01).

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323179130-03; 28.06.2023);

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით და 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით და 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323179130-03; 28.06.2023):

პროექტის თანახმად, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიენიჭა დადგენილებით განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების ერთპიროვნულად შედგენის/შევსების უფლებამოსილება.

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე"

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323179130-03; 28.06.2023);

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 1252 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323179130-03; 28.06.2023);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №79-36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323179130-03; 28.06.2023);

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების

ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M3 კატეგორიის და M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323179130-03; 28.06.2023):

დადგენილებაში ცვლილება ემსახურება, უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირების მიერ (მათ შორის სტუდენტები და მოსწავლეები) ციფრული ბარათებით შესრულებული ტრანზაქციების სრულყოფილი ფუნქციონირების დანერგვას. ვინაიდან მზარდია არამატერიალური ბარათებით შესრულებული ტრანზაქციების წილი გადახდის ტრანზაქციებში, მათ შორის, საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

ზოგადად, აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, ავტობუსით გადაყვანილი იქნა - უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე 53,041,406 მგზავრი, მეტროთი - 37,657,364 მგზავრი, ხოლო საბაგიროთი - 50,188 მგზავრი.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323179130-03; 28.06.2023).

2023 წლის 18 ივლისის სხდომა:

- თბილისის საზოგადოებრივი ავტობუსების განვითარების სტრატეგია:

თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების სტრატეგიის სამუშაო ვერსიაში ძირითადი აქცენტები გაკეთებულია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის დროის გაუმჯობესება; დედაქალაქის მასშტაბით ე.წ. ,,BUS LANE"-ების დაფარვის არეალის ზრდა; საზოგადოებრივ ტრანსპორტზე წვდომის გაზრდა; ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემის მაქსიმალური სრულყოფა (ჭკვიანი შუქნიშნები და ა.შ.); სატრანსპორტო სისტემაში დასაქმებული ადამიანების ცოდნის ამაღლება და ამ მიზნით, მათი გადამზადება.

2023 წლის 25 აგვისტოს სხდომა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032323529-03; 23.08.2023);

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032323529-03; 23.08.2023);

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032323529-03; 23.08.2023);

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A” კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032323529-03; 23.08.2023):

ცვლილების თანახმად, 135⁴ მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით კონტროლის განმახორციელებელი უფლებამოსილი სამსახური, ფიზიკური ან იურიდიული პირი უფლებამოსილია კალენდარული წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეუზღუდავად განახორციელოს შემოწმება, რაც ხორციელდება სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ და მათ ამ მიზნით გადაცემული აქვთ ანგარიშსწორების საავანსო

ფულადი სახსრები, რომელიც გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტით სააგენტოსთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M3 კატეგორიის და M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032323529-03; 23.08.2023).

2023 წლის 22 სექტემბრის სხდომა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის № 19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032326258-03; 19.09.2023).**

2023 წლის 20 ოქტომბრის სხდომა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032326973-03; 26.09.2023);**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323291145-03; 18.10.2023);**

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323291145-03; 18.10.2023);**

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323291145-03; 18.10.2023).**

ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია:

საანგარიშო პერიოდში:

- ✓ შედგა შეხვედრები მოქალაქეებთან (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებთან). თითოეულ მათგანს გაეწია სხვადასხვა სახის კონსულტაცია და დახმარება;

- ✓ გაგრძელდა შეხვედრები სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან;

- ✓ სატრანსპორტო საკითხთა კომისიაში სხვადასხვა მოთხოვნით შემოსულ მოქალაქეთა განცხადებებზე განხორციელებული იქნა სათანადო რეაგირება;

- ✓ რიგ შემთხვევებში, საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომისიაში შემოსული ინფორმაციის (როგორც წერილობითი, ისე ზეპირი) გადამოწმებისა და მითითებული ფაქტების დეტალურად შესწავლის მიზნით, დაიგეგმა გასვლები კონკრეტულ ლოკაციებზე. კომისიის წარმომადგენლები და სხვა უწყებების უფლებამოსილი პირები, ადგილზე გაეცნენ არსებულ ვითარებას და პრობლემის ოპერატიულად გადაჭრის მიზნით, დაგეგმეს განსახორციელებელი ღონისძიებები;

- ✓ განცხადებებში დასმული პრობლემური საკითხების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, დაიგეგმა და ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, როგორც საკრებულოს შენობაში, ისე მის გარეთ;

- ✓ ასევე, სხვადასხვა უწყებებიდან, როგორც მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, ისე ცალკეულ შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაცია/გაიგზავნა შეკითხვა და ინიციატივა.

სამუშაო შეხვედრები და სხვა სახის აქტივობები:

- ✓ 1 ნოემბერი, 2022 - თბილისის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-12 ფორუმში მონაწილეობა;
- ✓ 15 დეკემბერი, 2022 - საქართველოს დისტრიბუტორთა ასოციაციის ორგანიზებით გამართული ღონისძიება;
- ✓ 15 დეკემბერი, 2022 - ვარკეთილში, N117 საჯარო სკოლასთან ახალი ტექნოლოგიით ზებრა გადასასვლელის დახაზვის სამუშაოების ადგილზე გაცნობა;
- ✓ 21 დეკემბერი, 2022 - საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით გამართული 2022 წლის სარბოლო სეზონის დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობა;
- ✓ 26 დეკემბერი, 2022 - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობა;
- ✓ 2 მარტი, 2023 - თბილისის მერიის პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა ,,ისწავლე და დასაქმდი“ ფორუმზე დასწრება;
- ✓ 15 მარტი, 2023 - საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია ,,Mott MacDonald CZ”-ის წარმომადგენლებთან შეხვედრა;
- ✓ 4 აპრილი, 2023 - ტელეკომპანია ,,Euronews“, გადაცემა ,,ამბები დღისით“, თემა: ტაქსების რეფორმის მესამე ეტაპი, თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკა;
- ✓ 27 აპრილი, 2023 - ტელეკომპანია ,,POSTV”, გადაცემა ,,ბიზნესპოსტი“, თემა: თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკა;
- ✓ 25 მაისი, 2023 - საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მე-7 მსოფლიო კამპანიის ფარგლებში N45 და N118 საჯარო სკოლებში სტუმრობა;
- ✓ 29 მაისი, 2023 - პრესკლუბი ,,კვირა“, თემა - ,,ტაქსების რეფორმა“;
- ✓ 2 ივნისი, 2023 - ტელეკომპანია ,,პირველი არხი“, გადაცემა - ბიზნეს პარტნიორი, თემა: ტაქსების რეფორმა;

- ✓ 12 ივლისი, 2023 - ,,მდგრადი ურბანული მობილობა თბილისში“ პრეზენტაციაზე დასწრება;
- ✓ 18 ივლისი, 2023 - სამუშაო შეხვედრა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია Mott MacDonald-ის წარმომადგენლებთან;
- ✓ 8 აგვისტო, 2023 - 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპული გმირების ხსოვნისადმი პატივის მიგება;
- ✓ 30 აგვისტო, 2023 - ,,თბილისის სატრანსპორტო გეგმა“, დასკვნით სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა;
- ✓ 9 სექტემბერი, 2023 - კონფერენცია ,,ინფრასტრუქტურული ინოვაციები - თბილისი 2023“ მონაწილეობა;
- ✓ 15 სექტემბერი, 2023 - ევროპის მობილობის კვირეულში მონაწილეობა;
- ✓ 2 ოქტომბერი, 2023 - ეროვნული სკრინინგ ცენტრის ორგანიზებით გამართული ღონისძიება ,,შენი სიცოცხლე შენს ხელშია“ მონაწილეობა.
- ✓ 23 ოქტომბერი, 2023 - რადიო ,,სივრცე“, თემა - დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკა, საცობები თბილისში.